გაეროს უშიშროების საბჭოს **<u>რეზოლუცია 1364 (2001)</u>**

2001 წლის 31 ივლისი

უშიშროების საბჭო,

რომელიც იმოწმებს თავის შესაბამის რეზოლუციებს, კერძოდ, 2001 წლის 31 იანვრის 1339 (2001) რეზოლუციას და თავისი თავმჯდომარის მიერ 2001 წლის 21 მარტსა და 2001 წლის 24 აპრილს გაკეთებულ განცხადებებს.

განიხილავს გენერალური სამდივნოს 2001 წლის 19 ივლისის განცხადებას, იმოწმებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ლისაბონისა და სტამბოლის უმაღლესი დონის შეხვედრების დასკვნებს, რომლებიც ეხება აფხაზეთში, საქართველო, შექმნილ ვითარებას, აღნიშნავს, რომ მიუღებელია აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების ძირითად საკითხებში პროგრესის უქონლობა. ღრმად შეშფოთებულია იმის გამო, რომ ჩაიშალა მოლაპარაკება მას შემდეგ, რაც 2001 წლის აპრილსა და მაისში გალის რაიონში, 2001 წლის 8 და 9 ივლისს გულრიფშის რაიონში, კვლავ 2001 წლის 22 ივლისს პრიმორსკში მოხდა მკვლელობები და მძევალთა აყვანა.

გამოთქვამს სინანულს ქართულ და ოსურ მხარეთა საკოორდინაციო საბჭოს მეცამეტე სესიის ჩაშლასთან დაკავშირებით, რომელიც თავდაპირველად დანიშნული იყო 2001 წლის 17 ივლისისათვის, მაგრამ არ გამართულა იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული ინციდენტების შემდეგ აფხაზურმა მხარემ უარი განაცხადა მასში მონაწილეობაზე,

იმოწმებს შესაბამის პრინციპებს, რომლებსაც შეიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალისა და მასთან დაკავშირებული პერსონალის უშიშროების შესახებ 1994 წლის 9 დეკემბერს მიღებული კონვენცია,

მიესალმება მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც კვლავ შეაქვთ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიურ სამშვიდობო ძალებს (თანამეგობრობის სამშვიდობო ძალები) კონფლიქტის ზონაში ვითარების სტაბილიზაციაში, აღნიშნავს, რომ გაეროს მეთვალყურეთა მისია და თანამეგობრობის სამშვიდობო ძალები ინარჩუნებენ მჭიდრო სამუშაო ურთიერთობას, და ხაზს უსვამს რაოდენ მნიშვნელოვანია მათი მჭიდრო თანამშრომლობა მათი შესაბამისი მანდატების შესრულებისათვის,

აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ სთხოვა უშიშროების საბჭოს გამოეგზავნა მისია რეგიონში,

1. იწონებს გენერალური მდივნის 2001 წლის 19 ივლისის მოხსენებას;

2. გამოთქვამს სინანულს იმის გამო, რომ კონფლიქტის ზონაში არ წყდება ძალადობა, მძევალთა აყვანა, დამნაშავეობის და უკანონო შეიარაღებული ჯგუფების საქმიანობა, რის შედეგად კონფლიქტის ზონაში უარესდება ვითარება, რაც მუდმივ საფრთხეს უქმნის სამშვიდობო პროცესს;

3. მტკიცედ უჭერს მხარს იმ გამუდმებულ ძალისხმევას, რომელსაც იჩენენ გენერალური მდივანი და მისი სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, აგრეთვე, გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფისა და ეუთოს დახმარებით ვითარების სტაბილიზაციისათვის ხელის შეწყობისა და ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევის მიზნით, რომელიც უნდა შეიცავდეს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის მოგვარებას;

4. აღნიშნავს, რომ სპეციალური წარმომადგენელი აპირებს წარმოადგინოს თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ დოკუმენტის პროექტი, როგორც საფუძველი სუბსტანციური მოლაპარაკების გამართვისათვის, და არა როგორც მცდელობა, თავს მოახვიოს ან უკარნახოს რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება მხარეებს;

5. ხაზს უსვამს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მხარეებისათვის ზემოაღნიშნული დოკუმენტის რაც შეიძლება სწრაფად წარდგენას, რომელიც უნდა გახდეს ამოსავალი წერტილი და არსებითი სტიმული ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკებისათვის, და ღრმა სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ვერ შეძლო ამის გაკეთება;

6. აღნიშნავს, აგრეთვე, თუ რაოდენ საჭიროა დაჩქარდეს მუშაობა გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნებისა და ეკონომიკის აღდგენის ღონისძიებათა ოქმის პროექტზე, აგრეთვე, მშვიდობისა და შე-

იარაღებული შეტაკების თავიდან აცილებისა და განუახლებლობის გარანტიების შესახებ შეთანხმების პროექტზე;

7. მოუწოდებს მხარეებს, კერძოდ, აფხაზურ მხარეს, დაუყოვნებლივ მოახმაროს ძალისხმევა ჩიხიდან გამოსვლისათვის და დაიწყოს მოლაპარაკება კონფლიქტის ძირითადი პოლიტიკური საკითხებისა და ყველა სხვა გადასაწყვეტი საკითხის თაობაზე სამშვიდობო პროცესის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით;

8. მიესალმება 2001 წლის მარტში იალტაში ნდობის განმტკიცების ღონისძიებისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე ხელმოწერილ დოკუმენტებს, და დაჟინებით მოუწოდებს ქართულ და აფხაზურ მხარეებს მიზანდასახულად და თანამშრომლობის საფუძველზე განახორციელონ ამ დოკუმენტებში შეთანხმებული წინადადებები;

9. მოუწოდებს მხარეებს შეძლებისდაგვარად უახლოეს მომავალში განაახლონ მუშაობა საკოორდინაციო საბჭოში და მის შესაბამის მექანიზმებში;

10. მტკიცედ მოუწოდებს მხარეებს, იმოქმედონ ერთობლივად და ამისათვის უფრო ეფექტიანად გამოიყენონ არსებული მექანიზმები საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, რათა ნათელი მოჰფინონ 2001 წლის 8, 9 და 22 ივლისს მომხდარ ინციდენტებს, მიაღწიონ ჯერ კიდევ დაკავებული მძევლების გათავისუფლებას და სასამართლო პასუხისგებაში მისცენ ბრალეულნი;

11. კვლავ ადასტურებს, რომ მიუღებელია კონფლიქტის შედეგად გამოწვეული დემოგრაფიული ცვლილებები და კვლავ ადასტურებს, აგრეთვე, კონფლიქტის მიზეზით ყველა ლტოლვილისა და ადგილნაცვალი პირის განუყოფელ უფლებას, დაუბრუნდნენ მშობლიურ ადგილებს უშიშროებისა და ღირსების პატივისცემის პირობებში, საერთაშორისო სამართლისა და 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი შეთანხმების დებულებათა შესაბამისად (S(1994) 397, დანართი II);

12. მტკიცედ მოუწოდებს მხარეებს, ამასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ და ერთად გადადგან პირველი ნაბიჯი საიმისოდ, რომ გადაწყვიტონ იმ პირთა გაურკვეველი და უიმედო მდგომარეობის კვლავაც მეტად შემაშფოთებელი საკითხი, რომლებიც დამოუკიდებლად ბრუნდებიან გალის რაიონში;

13. მიესალმება ღონისძიებებს, რომლებსაც ახორციელებენ საქართველოს მთავრობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი კომისრის ლტოლვილთა საქმეების სამმართველო, ჰუმანიტარული საქმიანობის კოორდინაციის სამმართველო და მსოფლიო ბანკი ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მათი პროფესიული მომზადებისა და თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლების გზით და ამასთან სრულად იცავენ მშობლიურ ადგილებში მათი დაბრუნების განუყოფელ უფლებას უშიშროებისა და ღირსების პატივისცემის პირობებში;

14. კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით განხორციელდა ერთობლივი მისია გალის რაიონში სიტუაციის შეფასების მიზნით და მოელის, რომ მხარეები განიხილავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს მისიის რეკომენდაციების შესასრულებლად;

15. წუხს იმის გამო, რომ დაირღვა ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის ყველა შეთანხმება (S (1994) 583, დანართი I) და განსაკუთრებული შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ორივე მხარემ 2001 წლის ივნისსა და ივლისში მოაწყო სამხედრო წვრთნა, რითაც დაირღვა მოსკოვის შეთანხმებები.

16. გამოთქვამს შეშფოთებას მხარეთა იმ საგანგაშო ტენდენციის გამო, რომ შეზღუდონ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის თავისუფალი გადაადგილება, და ამით ხელი შეუშალონ მისიას თავისი მანდატის შესრულებაში, მტკიცედ მოუწოდებს ორივე მხარეს, დაუყოვნებლივ შეასრულონ სრულად მოსკოვის შეთანხმება, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ძალისხმევის ქვაკუთხედია და მოუწოდებს მხარეებს, უზრუნველყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პერსონალისა და სხვა საერთაშორისო პერსონალის უსაფრთხო და თავისუფალი გადაადგილება;

17. აღნიშნავს, რომ ქართულ და აფხაზურ მხარეებს ეკისრებათ მთავარი პასუხისმგებლობა საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებისა და სხვა საერთაშორისო პერსონალის უშიშროებისა და იმისათვის, რომ მთლიანად შესრულდეს მათ შორის მიღწეული ყველა შეთანხმება უშიშროების დარგში, რათა აღიკვეთოს სიტუა-

ციის ნებისმიერი შემდგომი გაუარესება, და დაჟინებით მოუწოდებს ორივე მხარეს, სასამართლოს გადასცენ ის პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მძევლების აყვანის ყველა ინციდენტისათვის, კერძოდ, 2000 წლის 10 დეკემბერს კოდორის ხეობაში საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის ორი მეთვალყურის გატაცებისათვის.;

18. შეახსენებს ქართულ მხარეს, კერძოდ, რომ მან უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება და ბოლო მოუღოს იმ უკანონო შეიარაღებული ჯგუფების საქმიანობას, რომლებიც აფხაზეთში, საქართველო, შედიან ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გასწვრივ საქართველოს კონტროლს დაქვემდებარებული მხრიდან.;

19. მიესალმება იმ გარემოებას, რომ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას ნიადაგ თვალთახედვის არეში აქვს მისიის უშიშროების ორგანიზაციის საკითხი, რათა უზრუნველყოს თავისი პერსონალის რაც შეიძლება მაღალი დონის უშიშროება.

20. ადგენს, რომ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას მანდატი გაუგრძელდეს შემდეგი პერიოდისთვის, რომლის მოქმედების ვადა იწურება 2002 წლის 31 იანვარს, იმ პირობით, რომ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის მანდატს საბჭო განიხილავს მანდატში ან თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების ყოფნაში ნებისმიერი ცვლილების შეტანის შემთხვევაში და აცხადებს, რომ აპირებს საგულდაგულოდ მიმოიხილოს ოპერაციები მისი მიმდინარე სამანდატო პერიოდის დამლევს იმ ღონისძიებათა თვალსაზრისით, რომლებსაც ახორციელებენ მხარეები ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევის მიზნით;

21. სთხოვს გენერალურ მდივანს, კვლავაც რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია საბჭოს და ამ რეზოლუციის თარიღიდან სამი თვის შემდეგ წარმოადგონოს მოხსენება აფხაზეთში, საქართველო, არსებული მდგომარეობის შესახებ, და სთხოვს, აგრეთვე, გენერალურ მდივანს, არაუგვიანეს სამი თვის შემდეგ გამართოს ბრიფინგი, რომელიც მიეძღვნება პოლიტიკურ მოწესრიგებაში, მათ შორის იმ დოკუმენტის პროექტის შემუშავებაში მიღწეულ პროგრესს, რომლის მხარეებისათვის წარდგენას აპირებს მისი სპეციალური წარმომადგენელი, რაზეც არის ლაპარაკი ზემოთ მე-4 პუნქტში;

22. ადგენს, აქტიურად გაგრძელდეს ამ საკითხზე მუშაობა.

(www.un.org/docs. გაზეთი “აფხაზეთის ხმა”, # 32, 2001 წლის 10 აგვისტო)